ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 84

2 ივნისი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ირაკლი ნადირაძე.

მოწვეული სტუმრები:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური: გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია,რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
სხდომას უძღვება ოთარ გრიგოლია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01201531305; №11-0120142113) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032015337-03; №15-032014270-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

საკითხი წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების მიერ მოთხოვნილი კვარტალური და წლიური ცვლილებები.

ისნის რაიონის გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ე.წ. კორონა ვირუსის გავრცელების და მისგან გამოწვეული შედეგების გამო, გამგეობაში დამატებით შემოსულია მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეთა განცხადებები. მათ საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად გამგეობას „სხვა სოციალური დახმარებების“ პროგრამაში დამატებით სჭირდება 21350 ლარი. გარდა ამისა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ნაწილი დასრულდა, ნაწილი დასრულდება მეორე კვარტალში. აქედან გამომდინარე გამგეობა ითხოვს 160 000 ლარის გადმოტანას მეოთხედან მეორე კვარტალში.

გლდანის რაიონის გამგეობა, უკვე დასრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, ითხოვს რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში მეორე კვრატალში 784 000 ლარის დამატებას, მეოთხე კვარტლის შემცირების ხარჯზე, გარდა ამისა გამგეობას, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაში“ მეორე კვარტალში შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად სჭირდებათ 350 000 ლარი. თანხები გადმოაქვთ მესამე კვარტლიდან მეორე კვარტალში.

საბურთალოს რაიონის გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში, მეორე კვარტალში 133 067 ლარის დამატებას, მესამე და მეოთხე კვარტლის გეგმების შესაბამისად შემცირებით, რაც

სჭირდებათ ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე 6 და 9 კორპუსებს შორის ფრაგმენტული(ორმოული) შეკეთებისათვის. ასევე ესაჭიროებათ მეორე კვარტალში 550 000 ლარის დამატება მეოთხე კვარტლის შემცირების ხარჯზე. გარდა ამისა გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ შემოსულია 150 000 ლარის შესრულება საავადმყოფოებიდან და აფთიაქებიდან, ხოლო გამგეობას „სხვა სოციალური დახმარებების პროგრამაში" რესურსი მცირე აქვს.

წარმოდგენილია ასევე სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომელთა ხელფასების, საწვავის, კომუნალური და სხვა საოპერაციო და მიმდინარე ხარჯების დასაფაინანსებლად, შპს „სატრანსპორტო კომპანიის" წერილობითი მოთხოვნა, რის საფუძველზეც თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში „სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია" იზრდება 10 000 000 ლარით, შესაბამისად მცირდება პროგრამა „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიბები„ აღნიშნული გამოწვეულია „კორონავირუსის" გამო შექმნილი მდგომარეობით.

არასაკმარისია ასევე „ხელოვნების სკოლების" და თეატრ „გლობუსის" თნამშრომელთა ხელფასების გასაცემად შესაბამის პროგრამებში არსებული რესურსი, ვინაიდან აღნიშნული სკოლები და თეატრი ხელფასის ნაწილს გასცემდა საკუთარი შემოსავლებით. არსებული მდომარეობიდან გამომდინარე სკოლები და თაეტრი ვერ მუშაობს. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იზრდება „თეატრ გლობუსის" ასიგნება 115 476 ლარით, ხოლო „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის" პროგრამა 429 216 ლარით, თანხების დაბალანსება ხდება „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნუკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების" პროგრამაში არსებული რესურსით.

კომისიის წევრების შეკითხვებზე გაიოზ თალაკცვაძემ დაწვრილებით განმარტა წარმოდგენილ ცვლილებებზე.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8 . თავი შეიკავა ირაკლი ნადირაძემ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის, ისნისა და საბურთალოს რაიონის გემგეობები, ასევე სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თვამჯდომარე ოთარ გრიგოლია